პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 261 (19103) ოთხშაბათი, 14 ნოემბერი, 1984 წელი. ფასი 3 კაპ.

მოწინავეთა

მხარდამხარ

...ვე შემდიდრებელი ფაბრიკების კომპლექსი, რომლის წარმატებებში ვეტერან მშრომელებთან ერთად თავიანთი წვლილი შეაქვთ ახალგაზრდებსაც. ერთ-ერთი მათგანია კომკავშირელი მარიამ სადუნიშვილი. იგი ელექტროშემკლად მუშაობს და წარმოებას მოუწყვეტლივ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პიათურის ხადამის სწავლების განყოფილების მეექვსე კურსის სტუდენტია. იგი არჩეულია ჭიათურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს დეპუტატად. წარმოების მოწინავე ქალიშვილი სწავლასა და შრომას კარგად უთავსებს ერთმანეთს.

სურათზე: მ. სადუნიშვილი.

რ. ბუხრაშვილის ფოტო.

მოვუმზადოთ არმიას ღირსეული ცვლა

დიდი და მრავალფეროვანი მუშაობა, რომელიც ჩვენში მშრომელთა ფართო მასების და, კერძოდ, ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის მიმდინარეობს, პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, ამიტომაც არის, რომ ჩვენს ახალგაზრდებს საბჭოთა არმიაში სამსახური თავიანთ პატრიოტულ მოვალეობად მიაჩნიათ.

იხე, როგორც ყოველთვის, წელსაც საბჭოთა არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში გაწვეული იქნა იდეურად გამოწრთობილი, ფიზიკურად ჯანსაღი და წიგნიერი ახალგაზრდობა. ამ მხრივ კარგად იმუშავა რესპუბლიკის მრავალმა სამხედრო კომისარიატმა. ამ მოწინავეებისა და ზოგიერთ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე არის ლაპარაკი საქართველოს სსრ სამხედრო კომისრის წერილში, რომელიც ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში იბეჭდება.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს იმ დიდი და ერთიბლივი მუშაობის შედეგია, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდლობა ეწევიან რესპუბლიკის ახალგაზრდობისა და საერთოდ მშრომელთა ფართო მასების სამხედრო-პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდისათვის. ამაზე ნათლად იყო ლაპარაკი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIX პლენუმზე, აგრეთვე ამას წინათ ბათუმში გამართულ რესპუბლიკურ თათბირზე, რომელიც სახელმწიფო საზღვრის დაცვაში სიფხიზლის გაძლიერების საკითხებს მიეძღვნა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIX პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ თქვა: „სამხედრო-პატრიოტული აღზრდის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ახალგაზრდობის მომზადება არმიაში სამსახურისათვის". ეს მითითება წარმატებით იხსამს ხორცს. ახლა ჩვენში შექმნილია მასების სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის იხეთი მწყობრი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკურად მომწიფებული, ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი თაობით სამხედრო ნაწილების შევსებას. მთელ ამ საქმიანობას საფუძვლად უდევს ადგილებზე პარტიული კომიტეტების მიერ შემუშავებული მრავალფეროვან ღონისძიებათა ვრცელი, კონკრეტული და პრაქტიკული გეგმები, რომელთა განხორციელება ჩვენს ყოველდღიურ და სისხლხორცეულ საზრუნავს წარმოადგენს.

[illegible]

წლის ფინიშს — დამკვრელური შრომა!

შრომით ვადიდოთ...

ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა, რომლის წევრი მეც გახლავართ, 12 დღით ადრე შეასრულა ქვანახშირის ამოღების ათი თვის სახელმწიფო დავალება და კიდევ უფრო უმატა შრომის ტემპს. საწარმოში საგრძნობლად შემცირდა დანახარჯები ტონა ქვანახშირის მოპოვებაზე, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. ახლა ტონა სათბობი 73 კაპიკით იაფი ჯდება და ეს ცოტა როდია. მარტო ამ გზით წლის განვლილ პერიოდში 331 ათასი მანეთი დაიზოგა.

შრომითს მეტოქეობაში ასობით ლენინელმა გამოიჩინა თავი, მაგრამ ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. დავასახელებ მხოლოდ საუკეთესოთა შორის საუკეთესოს. ესენი არიან იმ საექსპლოატაციო უბნების კოლექტივები, რომლებსაც ა. ცუცქირიძე, შ. აბაშიძე და შ. ჩაფიძე ხელმძღვანელობენ. ქებას იმსახურებენ ცალკეული მეშახტეები — გ. ციცქიშვილი, მ. ვარდოსანიძე, ა. ბოჭორიშვილი და სხვები.

ჩვენს საწარმოს არც ორჯონიკიძის შახტის კოლექტივი ჩამორჩება. ორჯონიკიძელებმაც ვადაზე მნიშვნელოვნად ადრე შეასრულეს ათი თვის გეგმა და მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით პირველობენ. აქ ბევრი რამ კეთდება ბრიგადული იჯარის ფართოდ გავრცელებისათვის, დამხმარე მასალებისა და ელექტროენერგიის ყაირათიანი ხარჯვისათვის, საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ტონა ქვანახშირი ორჯონიკიძელებმა დაახლოებით 56 კაპიკით გააიაფეს და ამით 140 ათასამდე მანეთი დაზოგეს. აქვე დავძენ, რომ ორჯონიკიძელები დაჟინებული არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და იბრძვიან მისი შენარჩუნებისათვის, შრომითი დიდებისათვის.

ე. ჩაფიძე,

ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია

ზამთრისთვის რომ მზად ვიყოთ

წალენჯიხის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა უპირველესად განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს საკვები ბაზის განმტკიცებას. ეს იდვილი საქმე როდი იყო, ისედაც მცირემიწიანი რაიონი დაფარულია ჩაის და სხვა მრავალწლოვანი ნარგავებით, ერთწლოვანი კულტურების დასათესად და სათიბ-საძოვრებად მცირე ტერიტორიაა რჩება. ერთ პირობით სულ პირუტყვზე (მოსახლეობის პირუტყვის ჩათვლით) მოდის მხოლოდ 0,15 ჰექტარი სახნავი.

ცხადია, ასეთ პირობებში გამოსავალი მხოლოდ ის არის, რომ ... დოებრივი მეურნეობების პირუტყვმა ნორმალურად გამოიზამთროს.

იმ საერთო მაჩვენებლებში, რომლებზეც ლაპარაკი გვქონდა, დიდია ნაფიჩხოვოს მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეთა წვლილი. კოლმეურნეობის სავარგულები კავკასიონის ქედისწინა მთა-გორაკებზეა შეფენილი. სანამ ჩაის, ტუნგის, დაფნის პლანტაციები და ვენახები გაშენდებოდა, აქაურები მეჯოგეობას მისდევდნენ და მომთაბარე მეცხოველეობით ირჩენდნენ თავს.

ახლა წლიურად კოლმეურნეობის შემოსავალი 4 მილიონ მანეთს აღწევს, ხოლო მოგება — 900 ათას მანეთს. აქაურებს ...

[illegible]

... მეწველის შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 35 პროცენტით.

წლეულს, განგარიშებით, წალენჯიხის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები რძის რეალიზაციიდან მიიღებენ 196 ათას მანეთს. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხორცის რეალიზაციიდან მიღებული ზარალი შემცირდება 45 ათასი მანეთით. ეს შედეგები, დარგის განვითარების სწრაფი ტემპის პირობებში, უდავოდ მისასალმებელია.

გ. ნოდია,

„კომუნისტის" სპეც. კორ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გავზარდოთ კომუნისტების პასუხისმგებლობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა თითოეული კომუნისტის პასუხისმგებლობის გადიდების ზოგიერთი ღონისძიების საკითხი და ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის მთელ რიგ პირველად პარტიულ ორგანიზაციებში სკკპ წევრთა ანგარიშების მოსმენის და პარტიული დახასიათებების დამტკიცების პირველი შედეგები.

ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სკკპ წესდების მოთხოვნათა შესრულებისათვის პარტიის თითოეული წევრის პასუხისმგებლობის გადიდების მიზნით რესპუბლიკის პარ-... საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკების დახასიათებები.

... შობაში და ქვეყანაში არსებული ცალკეული ნაკლოვანებების, ხარვეზების გადაზრდას პარტიული ცხოვრების ნორმების უხეშ დარღვევებად და ამავე დროს ზრდის პირველადი პარტორგანიზაციების ავტორიტეტს და მებრძოლურობას. ამის შესახებ ილაპარაკეს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე საკითხის განხილვის დროს პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის, თბილისის ლენინის, პირველი მა-...

... განვითარებაში, გააანალიზოს და განაზოგადოს შექმნილი გამოცდილება, გაშუქოს მუშაობის შედეგიანობა, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისათვის ამ საკითხზე წინადადებების მომზადება.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს დაევალათ ისე წარმართონ მუშაობა კომუნისტთა ანგარიშების მოსმენისა და დახასიათებათა დამტკიცებისათვის, რომ ...

[illegible]

... თეოკრატიის, კომუნისტებისადმი მოთხოვნელობის და ამავე დროს კეთილმოსურნეობისა და გულისხმიერი დამოკიდებულების ვითარებაში. მოისმინეს ანგარიშები და დაამტკიცეს მუშებისა და კოლმეურნეების, პედაგოგებისა და სტუდენტების, მეცნიერების, ... ამ გაცნობამ, მისი კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე უფრო აქტიური და მიზანდასახული ზემოქმედების საშუალებას. ყოველივე ეს ხელს უწყობს თავიანთი პარტიული ორგანიზაციების წინაშე კომუნისტთა პასუხისმგებლობის გადიდებას, ხელს უშლის სკკპ წევრების მე-... ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები. ჯგუფის ამოცანაა აგრეთვე პრაქტიკული დახმარება გაუწიოს პარტიის საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს კომუნისტთა ანგარიშებისა და დახასიათებების დამტკიცების პრაქტიკის დანერგვაში, ქმნადობასა და ... ცვლა ყურადღების ცენტრში იქნიონ სკკპ წევრთა ანგარიშებისა და პარტიული დახასიათებების დამტკიცების მიმდინარეობა, გაამრავალფეროვნონ ამ თემაზე მასალების მიწოდების ფორმები და საშუალებანი, აამაღლონ მათი პუბლიცისტურობა.

(საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საბავშვო წიგნს — განსაკუთრებული ზრუნვა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის გამოცემის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურა, რომელიც რესპუბლიკაში გამოდის, მთლიანად აქტიურად უწყობს ხელს აღმზრდელობითს პროცესს, ნორჩი მკითხველის გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებასა და ესთეტიკურ აღზრდას, მოზარდი თაობისათვის მაღალი კომუნისტური იდეალების ჩამოყალიბებას, ცოდნისადმი მისწრაფებას, აღმშენებლობითს შრომაზე მოთხოვნილებას.

რესპუბლიკურმა გამომცემლობა „ნაკადულმა" გააუმჯობესა თემატიკური დაგეგმვა მკითხველთა სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის ინტერესთა გათვალისწინებით, ყურადღებას უთმობს ქართული და რუსული კლასიკის, ფოლკლორული ნაწარმოებების, თანამედროვე ლიტერატურის, მათ შორის სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურის გამოშვებას. სამეცნიერო-პოპულარული, შემეცნებითი ლიტერატურა გამოდის მიზნობრივ სერიებად („ცოდნისკარი", „ჭადოსნური სარკე", „სერაფიტა", „კომკავშირელის ბიბლიოთეკა" და სხვა). ქართველ საბავშვო მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებები ითარგმნება რუსულ ენაზე.

გამომცემლობები „ალაშარა" და „ირისთონი" ყოველწლიურად გვგზავნენ საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის გამოცემას აფხაზურ და ოსურ ენებზე.

საბავშვო და საყმაწვილო წიგნის პროპაგანდას, ნორჩ მკითხველთან პოპულარიზატორულ და აღმზრდელობითს მუშაობას ისახავს მიზნად საბავშვო წიგნის სახლის საქმიანობა, რომელიც გამომცემლობა „ნაკადულთან" არის შექმნილი.

მუშაობა გააქტიურა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულმა საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის საბჭომ.

(დასასრული მე-2 გვ.)

საბჭოთა ლიტერატურის დღეები აფხაზეთში

ურღვევია გულთა კავშირი...

სოხუმსა და მთელ აფხაზეთში შემოდგომის ამ დღეებში პოეზია გამეფებულა. საბჭოეთის მრავალეროვნული ლიტერატურის წარმომადგენლები, რომლებიც აქ საბჭოთა ლიტერატურის დღეებში მონაწილეობისათვის ჩამოვიდნენ, შეხვდებიან თავიანთ მკითხველებს.

შესანიშნავ მოვლენად იქცა ხალხთა მეგობრობის მემორიალის სამარკვლის ჩაყრა. შავი ზღვისპირას, აფხაზეთის დედაქალაქის სანაპიროზე, ერთიანი სკულპტურული ანსამბლით იქნება გამარადისებული რუსული რევოლუციის ქარიშხალი, ქართული საბჭოთა პოეზიის სამაყე და აფხაზეთის ლიტერატურის პატრიარქი: მაქსიმ გორკი, გალაკტიონ ტაბიძე და დიმიტრი გულია, რომლებმაც უდიდესი შთაგონებით უმღერეს თავიანთ ქმნილებებში თავისუფლებისა და ბედნიერებისადმი, მშვიდობისა და თანასწორობისადმი ხალხთა დაუცხრომელ სწრაფვას. ეს ძეგლიც მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის სიმბოლო გახდება.

მემორიალის სამარკვლის ჩაყრას მიეძღვნა მიტინგი, რომელშიც ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსულმა მხატვრული სიტყვის ოსტატებმა.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ვ. ალავიძემ.

მიტინგზე გამოვიდნენ მოსკოველი პროზაიკოსი ლ. ლიხოდეევი, აფხაზი მწერალი ა. ჯონუა, სოციალისტური შრომის გმირი გ. აბაშიძე.

სამახსოვრო ფილის გახსნის საპატიო უფლება მიენიჭათ სსრ კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირების გამგეობათა მდივნებს ი. ვორონკოვსა და გ. ციციშვილს, აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს მ. ლასურიას. გრანიტის ქვაზე ამოკვეთილია წარწერა: „აქ აღიმართება მეგობრობის ძეგლი".

(დასასრული მე-2 გვ.).

სურათზე: აფხაზეთში საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილენი — სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ევგენი ევტუშენკო, პოეტი ხუტა გაგუა, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივანი იური ვერჩენკო, აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მუშნი ლასურია მეგობრულად საუბრობენ; სოხუმში გაიხსნა ა. ს. პუშკინის ძეგლი.

ი. პოსტნიკოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მეფრინველეებმა თავი ისახელეს

ვანის მეფრინველეობის სამეურნეობათაშორისო ფაბრიკის (დირექტორი — ზაირა გიორგაძე) შრომისმოყვარე კოლექტივმა ფრინველების სულადობის წლიური დავალება გადაჭარბებით შეასრულა, ნაცვლად 40 ათასისა ჰყავთ 70 ათასი ფრთა ფრინველი.

საგულისხმოა, რომ ფაბრიკის სანკუბატორო დანადგარები მუშაობს ადგილობრივი წარმოების კვერცხზე, რაც ერთიორად აიაფებს მეფრინველეობის პროდუქტებს. წინებული მაჩვენებლები აქვთ ქათმის ხორცისა და კვერცხის წარმოების საქმეში — 10 თვის დავალება ვადაზე 15 დღით ადრე შეასრულეს. ნაცვლად გეგმებელებით ნაცარი 110 ტონისა აწარმოეს 120 ტონა ფრინველის ხორცი, ხოლო 10 თვეში თითოეულ მოქცეულზე საშუალოდ მიიღეს 130 ცალი კვერცხი ნაცვლად 120 ცალისა.

თავი ისახელეს მეფრინველეებმა ფ. მაქელაძემ, მ. ჯაღიაშვილმა, ც. მეგვინაძემ, ლ. შენგელიამ, კოოპერირების დარგის უფროსმა ბ. ჰელიძემ, მთავარმა ზოოტექნიკოსმა თ. მამასახლისმა, ეტექნიკოსმა ბ. ბელთაძემ და სხვებმა. ვანელი მეფრინველეები წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით აწარმოებენ თითქმის ტონობით ფრინველის ხორცს, ათიათასობით ცალ კვერცხს.

ბ. ჩხაიძე,

„კომუნისტის" საკ. კორ.

გულითად, ამხანაგურ ატმოსფეროში

13 ნოემბერს კრემლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ტიხონოვისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დ. ლაზარის შეხვედრა.

ნ. ა. ტიხონოვმა და დ. ლაზარმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება სკკპ XXVI ყრილობისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XII ყრილობის გადაწყვეტილებანი...

გვესაუბრებათ მინისტრი

გადასაჭრელი პრობლემა ჯერ კიდევ ბევრია

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, პროგნოზირებისა და ფორმირების ცენტრის რუბრიკით პრესაში გამოქვეყნებული მასალები მრავალრიცხოვან გამოხმაურებას იწვევს. ამჯერად ფოსტას, რომელიც კრიტიკულად აფასებს მომსახურების სფეროს, განმარტავს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი ვ. ა. სოხოლევი.

— საკმაოდ ვრცელია ფოსტა, რომელიც ეხება ჩვენი სამინისტროს საქმიანობის სხვადასხვა მხარეს, — თქვა ვ. სოხოლევმა, — ბევრი ავტორი გამოთქვამს წუხილს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ჯერ კიდევ...

საბავშვო წიგნს — განსაკუთრებული ზრუნვა

(დასასრული)

განვახორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის

1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი!

ტრიბუნიდან სიტყვის წარმოთქმის უფლება

პირველი ორდენი — II ხარისხის სამამულო ომისა — კონსტანტინე პეტრეს ძე კოჟევნიკოვმა მაშინ მიიღო, როცა სამშობლოს იცავდა...

ბულოჩნის რაიონის ბაბუშერის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობა-ქარხანაში დაიწყო პროდუქციის გადამუშავების სეზონი. ხსვადასხვა მონაცემებით გაიგზავნება თითქმის ორი მილიონი მანეთის სამი ათასი ტონა ნედლეული, რეჰანის, ქეთილშობილი დაფნისა და ევკალიპტის ძვირფასი ეთეროვანი ზეთი.

ქვეყნის კვების მრეწველობის მუშაკებისათვის ბაბუშერაში ამზადებენ ლიმონის, მანდარინისა და ფორთოხლის ესენციებს.

სურათზე: ლაბორანტი ტექნოლოგი ლიდია მილიაევა და ბაბუშერის ეთერზეთოვანი საბჭოთა მეურნეობა-ქარხნის ბრიგადირი ედუარდ თოდუა არჩევენ ნედლეულს ხარისხის წინასწარი ანალიზისათვის.

ვაჭრობა ● მომსახურება ● პრობლემები

სად მარხია ძაღლის თავი?



დიმიტრი გულია

შენ ჩემო წიგნო

შენ ჩემო წიგნო, არ მიღალატო,
მარად მეზნებარე სიტყვა გემრავლოს,
გზას-კარ დაადგე უმისამართოს
და მონუურებულს არ დაუმალო.

ახალახალი ამბები მოჰყევ,
ახალ დღეთა და ახალ სურვილთა,
შენ გაახარე აფხაზი მოყმე,
შენი ლამაზი აფხაზურით.

ზ ღ ვ ა

ზღვა ბრუნავს და
ზღვა ტრიალებს,
სანაპიროს ატიალებს.
ზღვას ჯუბირი ვინ მიადგას,
ზღვა მიწაზე ხნიერია,
ზღვა ძალიან დიდია და
ზღვა ძალიან ძლიერია.

გონება, განათლება, ძალა

ჭკუა დიახაძლისია,
განათლება-სტუმარი,
თუ ორთავე ერთად გაქვს
შეგწევს ძალის უნარი.
განათლების კედლებს უნდა
საძირკველი მაგარი,
თუ სუსტია საძირკველი,
დაინგრევა ჯარგვალი.

ძალას ჭკუა თუ არ ახლავს,
კაცი ვერსად გავა ფონს,
კაცი კაცად მაშინ ფასობს,
როცა ჭკუა ძალას ფლობს.
გონება და განათლება
ნაღდი ძმები არიან,
უგონებო განათლებას
ჯერ არ გაუხარია.

ორი სიტყვა შვილებს

ბ ი ჭ ს

პატივი ეცი დედას და მამას,
ნუ მიაყენებ მშობლებს ჭრილობას,
ნუ დაიშურებ ალერსს და წამალს,
ნუ დაივიწყებ მამაშვილობას.

იყავი მათი სახელის ღირსი
და ცამი წახდლის როცა დადგება,
გაისტუმრებდე ბოლო გზით ისე,
შენს ხინდის-ნამუსს ვით შეჰფერება.

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ს

გიყვარდეს მამა, გიყვარდეს დედა,
მათი დამოძღვრით იცხოვრე წესიერად,
უნახევრებდე ორთავეს სევდას,
ჰმონებდე იმათ ნებას და სურვილს.

ნურც ქვეყნის ამბავს მიუტან გულთან,
ნურც ზედმეტობით გადიდდე დიდად,
იცოდნენ, რომ ხარ წმინდა და სუფთა,
რათა სოფლიდან წაუდნენ მშვიდად.

ღვინისგან გამჟღავნებული

ღვინო ყურძნისგან ნაწური,
უცებ მოგვიყვანს ლხენასო,
მისგან დამთვრალი ბიჭები
წაიგრძელებენ ენასო.

ხოლო ვინც ენას იგრძელებს—
ხშირად ემლება ყველასო,
ხშირად კი ვისაც ემლება,
პრიყვად დახვამენ ბნელასო.

სურვილი

როცა ყმაწვილი წვრად
ჯდება და რითმას ეძებს,
სხვა არაფერი მინდა,
იქ გამაჩინა ბედზე,
რომ ულლის აპერი
შევუმსუბუქო ქედზე.

როცა ჯარისკაცს უჭირს,
როცა სჭირდება შველა,
მზად ვარ მრისხანე მუჭით,
მტერს შევუთვალო წყევლა.

ჯარისკაცსა და პოეტს,
ვერაფერში ვერ გავყველი,
ბედნიერი ხარ იყო
პოეტი-ჯარისკაცი.

ო მ ი

არასდროს გვდომია ომი,
ჩვენი ჯილაგი და ტომი
მომხრე არ ყოფილა ძლეტის,
ჩვენ ომი არ გვინდა, მეტიც —
ამ დედამიწაზე გვინდა
ვიცხოვროთ სუფთად და წმინდად.

მაგრამ შენ თუ გვიმზერ წყრომით,
შენ თუ გვემუქრები ომით,
შენ თუ გადმოლახავ საზღვრებს,
ან თვალს გამოვისხამთ, ან ხელს,
უკან გაგაბრუნებთ იმ წამს,
მტრისეულს არ გაგატანთ მიწას.

ხინათლით გაივსოს სახლი,
ვაშა ხიყვარულის მზესა,
მშვიდად რომ ცხოვრობდეს ხალხი,
ეს უნდა ქვეყანას ჩემსას.

თარგმნა ჯ. ჩარქვიანმა.

ხალხისთვის დამაშვრალი

აფხაზეთის სახალხო პოეტის დიმიტრი გულიას დაბადების 110 წლისთავის გამო

დიახ, დიმიტრი გულიამ ქმნა ყოველი, რაც უნდა ჰქმნას კაცმა. იგი ლიტერატურული შემოქმედების უმაღლესი ნიმუშია, ხალხის ბედნიერებისათვის დაუშრომელი მებრძოლი და ხალხთა მეგობრობის ქადაგია. ასეთად დარჩება იგი საუკუნეებში — ეს არის მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ძალა და აზრი.

ბაგრატ შინქუბა,
აფხაზეთის ასსრ სახალხო პოეტი.

„ურღვევია გულთა კავშირი...“

(დასასრული)

„ძღვენი თქვენი იყოს არის...“ — თქვა ... ხალხის გულში რუსეთის დიდი შვილის პოეზია. „ჩვენი პუშკინი“ — ამას მარტო რუსეთში როდი წარმოთქვამენ ახლა ამაყად. პუშკინს სამართლიანად უწოდებენ თავის პოეტს ჩვენი სამშობლოს ყველა ენაზე, და ეს უფლება მათ მისცა თვით პოეტმა — ხალხთა თავისუფლებისა და მეგობრობის შთაგონებულმა მომღერალმა. ...

... საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა რ. ბუტბამ, თვალსაჩინო დადასტურება გახდა საბჭოთა ლიტერატურების ძმური ერთიანობისა.

საღამოს უძღვებოდა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პოეტი ივანე ივტუშენკო.

მ. გაბრიაძე,
ხ. ჩიაევა,
თ. ჯიბუტი.
(საქინფორმი).

პასუხს ვაგებთ მშობლიური ქვეყნისათვის

ლ. შარაშენიძე,
საქართველოს სსრ სამხედრო კომისარი, გენერალ-მაიორი

მეგობრული ვიზიტით

მიღება საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტში

ოთხ დღეს იმყოფებოდა აჭარაში ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ბლაგოევგრადის საოლქო კომიტეტის დელეგაცია ბულგარეთის კომპარტიის ბლაგოევგრადის საოლქო კომიტეტის მდივნის ნიკოლა ტინჩევის მეთაურობით. დელეგაციამ მიიღეს საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტში.

სტუმრებს გულითადად მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე და გააცნო მათ მუშაობა, რომელსაც საოლქო პარტიული ორგანიზაცია იწევს სკკპ XXVI ყრილობისა და საქა-

დამამთავრებელი აკორდის წინ

12 ნოემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის საქტო დარბაზში გაიმართა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მსახიობთა კონცერტი.

კონცერტის დაწყების წინ ქართველ მსახიობებს თაიგულები მიართვეს. ეროვნული საოპერო და საბალეტო ხელოვნების ისტორიაზე, თეატრის მომავალ გეგმებზე დამსწრეთ ესაუბრა გენერალური დირექტორი ზ. მახარაძე. მან მადლობა გადაუხადა მოსკოველებს იმ გულითადობისა და ყურადღებისათვის, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები ყოველ ფეხის ნაბიჯზე გრძნობდნენ ქვეყნის დედაქალაქში.

კონცერტში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ლ. ჭყონია, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნ. მკერვალიძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ი. კვსაძე, ე. გეწაძე, რ. კაკაბაძე, ნ. ნადიბაიძე, მსახიობები მ. დავითაშვილი და ზ. ცისკარიძე.

იმავე საღამოს კი დიდი თეატრის სცენაზე ქართული ხელოვნების ოსტატებმა მესამედ წარმოადგინეს მოცარტის ოპერა „დონ ჟუანი". მოსკოველებმა მოიწონეს ეს სპექტაკლი, რომლის ბრწყინვალე დადგმას, დირიჟორის ხელოვნებას, დიდებულ მხატვრობასა და ქორეოგრაფიას შესანიშნავი სოლისტები ამშვენებენ. ამჯერად წარმატებით იმღერეს მთავარი პარტიები ა. შომახიამ, მ. თომაძემ, პ. ბურჭულაძემ და სხვებმა.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის" საკ. კორ.
ქ. მოსკოვი.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში
ფოთი

ზრდისა და წინსვლის გზები

ახალი მაღაზია

მოემდინებ „ნალბანი"

ექსპერიმენტი

უცხოეთში
ფაქტები, მოვლენები, საქმესი, იუწყება
14 ნოემბერი

ისტორიული პასუხისმგებლობა

საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ყურადღების ცენტრშია ამერიკელი მკითხველებისადმი კ. უ. ჩერნენკოს მიმართვა იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის გამომცემლობა „პერგამონმა" გამოუშვა წიგნი „საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა: კ. უ. ჩერნენკოს სტატიები და სიტყვები". მრავალი ქვეყნის პრესა, რადიო, ტელევიზია, რომლებსაც მოჰყავთ მიმართვის შინაარსი და განმარტავენ მას, აღნიშნავენ იმ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, რომელსაც ისტორია სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს აკისრებს იმისათვის, რომ მშვიდობა იყოს ქვეყნად, რომ ადამიანებს ყველა ქვეყანაში შეეძლოთ იცხოვრონ და იმუშაონ მშვიდად. ამ პასუხისმგებლობის შეგნება, ხაზგასმულია კომენტარებში, საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირის აწონილ-დაწონილ მიდგომას ყველაფრისადმი, რაც განსაზღვრავს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მდგომარეობას და რასაც შეუძლია ხელი შეუწყოს მის გაუმჯობესებას.

დაწვრილებით გადმოსცემს რა მიმართვის შინაარსს, „ასოშიეიტიდ პრესის" საინფორმაციო სააგენტო ყურადღებას მიაპყრობს მასში გამოთქმულ საბჭოთა კავშირის მისწრაფებას ჰქონდეს თანაბარი და ურთიერთსასარგებლო კეთილი ურთიერთობა შეერთებულ შტატებთან, მიაღწიოს მასთან მორიგებას ფართო სპექტრის საკითხებში. ჩვენთვის ძნელი გასაგებია, მოჰყავს სააგენტოს საბჭოთა ხელმძღვანელის სიტყვები, იმათი ლოგიკა, ვინც ამბობს, რომ დაძაბული ურთიერთობა სსრ კავშირთან თითქოს აუცილებელი რამ იყოს, ლამის ფატალურად წინასწარ განსაზღვრული და რომ შეერთებული შტატები ვითომ ამის გამო არაფერს არ კარგავს.

დიდი ინტერესით მიიღო ამერიკის პროგრესულმა საზოგადოებრიობამ საბჭოთა ხელმძღვანელის წიგნის ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემა. „ჩვენ დიდად აფასებთ ამერიკელი მკითხველებისადმი კ. უ. ჩერნენკოს მიმართვას, — განაცხადა მასობრივი ომისსაწინააღმდეგო ორგანიზაციის „მოქმედების ლიგის" წარმომადგენელმა დ. გოლდმანმა. — ...

...

● ისრაელი
კომპარტიის განცხადება

რომი. პერესის კაბინეტის ორგანოები მწვავედ გააკრიტიკა ისრაელის კომუნისტურმა პარტიამ. ... ისრაელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადებაში დაგმობილია ისრაელის აგრესია ლიბანში და მისი ჩარევა ამ არაბული ქვეყნის საშინაო საქმეებში.

ისრაელის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეერთებულ შტატებს დაადანაშაულა, რომ იგი აქეზებს ისრაელ მმართველებს აგრესიული აქციები განახორციელონ ლიბანისა და სირიის წინააღმდეგ და განაგრძონ არაბული ტერიტორიების ოკუპაცია. განცხადებაში ნათქვამია, რომ ამერიკა-ისრაელის სტრატეგიული თანამშრომლობა ხელს უშლის ახლო აღმოსავლეთის პრობლემების გადაწყვეტას და საფრთხეს უქმნის მშვიდობას, საერთაშორისო უშიშროებას.

დოკუმენტში ჯეროვანი შეფასება აქვს მიცემული საბჭოთა წინადადებებს ახლო აღმოსავლეთის ვითარების მოწესრიგების თაობაზე ...

● ჩილე
სისხლიანი ტერორი

● აშშ
ორგანიზაცია „ამერიკა-ჩინეთის დიალოგი"

● ინდოეთი
მრისხანე აირები

ფოტოფაქტი
● გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა
დასაქმება — შეწუხების პრობლემა

● ნიკარაგუა
თავდაცვის სამინისტროს ბრძანება

ჩრდილოატლანტიკური ასამბლეის სესია

● პაკისტანი
თავყრილობა ანტიინდური ლოზუნგებით

ჭადრაკი
მსოფლიო ჩემპიონატი მატჩი

მოსკოვი

ფსიქო-ლოგიური ბრძოლის ნიშნით

მსოფლიო პირველობების მატჩების პრაქტიკაში ყველაზე ხანგრძლივი გახლავთ კაპაბლანკა-ალიოხინის ისტორიული ორთაბრძოლა (ბუენოს-აირესი, 1927 წელი, 34 პარტია, 6:3 ალიოხინის სასარგებლოდ). შეიძლება თუ არა მათ კარპოვმა და კასპაროვმა გადააჭარბონ გათამაშებული პარტიების რიცხვით? ვინ იცის! ყოველ შემთხვევაში, მატჩამდე კარპოვი ფიქრობდა, რომ ყველაფერი გადაწყდებოდა 25-28 პარტიების მონაკვეთში.

ოცდამესამე პარტიაში კვლავ ლაზიერის გამბიტი გათამაშდა. მან საკმაოდ რთული, ფსიქოლოგიური ბრძოლის ნიშნით ჩაიარა. ეს თუნდაც იქიდან ჩანდა, რომ მეხუთე დაემთხვა მეთორმეტე ...

გ. გამრეკელი.

საჭურნირო ორბიტა

სახვითი ხელოვნება
ნ. ზვიგენაძე.

კომუნისტი
ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

ჩვენს ტელეეკრანზე

მოსკოვი
14 ნოემბერი

თბილისი

თეატრი
14 ნოემბერი

საზღვაო ფორმის ტანსაცმლის გამოსვლის გამო

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 ... საქართველოს კპ ც.კ. გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.